უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

27/11/2024

MES 1 24 0001529102

გადაწყვეტილება

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1^1 პუნქტი ს, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 201951637) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 7 200-ით, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს - 2200 - ით და დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან ერთს აფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 800 სტუდენტით.
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 13 ნოემბერს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529039 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

ელექტრონული
მზამავსმეღია
ელექტრონული